სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაერთ მარტს **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **შპს « დომუს-ვაკის პარკი »-ს (ს/კ 405127937) დირექტორმა ალექსანდრე კორძახიამ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ალექსანდრე კორძახიამ** (დაბ. 30.08.1977წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ლ. კავსაძის ქ. №3, ბინა 25, ბარათის №15IC92918, პირადი №01009004543 გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 18.06.2016წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს « დომუს-ვაკის პარკი »-ს (ს/კ 405127937) დირექტორი ალექსანდრე კორძახია (დაბ. 30.08.1977წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ლ. კავსაძის ქ. №3, ბინა 25, ბარათის №15IC92918, პირადი №01009004543 გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 18.06.2016წ.) ვენდობი **გიორგი გიორგაძეს** (დაბ. 08.05.1981წ. პირადი : 01009009942) იყოს **შპს « დომუს-ვაკის პარკი »-ს** წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ქალაქ თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სსიპ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, მიმართოს მათ განცხადებებით, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი (ცნობები, ამონაწერები, განცხადებები, ნებართვები და სხვ) ნებისმიერი დაწესებულებიდან, **შპს « დომუს-ვაკის პარკი »-ს** კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე შეათანხმოს პროექტი, მიიღოს ნებართვები, შეიტანოს მასში ცვლილებები, მოახდინოს კორექტირება, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, დააზუსტოს ფართები, ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, გადაიხადოს სახელმწიფო და სხვა გადასახადები, განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 5 (ხუთი) წლის ვადით და ძალაშია 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს « დომუს-ვაკის პარკი »-ს დირექტორი

ალექსანდრე კორძახია _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

99711972359619

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190308749

რეგისტრაციის თარიღი

21.03.2019 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 2 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18